



12.11.2018

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

მესამე სამუშაო ჯგუფის  
სხდომის ოქმი №4

1. მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ

სახელი, გვარი	ორგანიზაცია
ირმა გელაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ირაკლი შენგელია	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
გიორგი მიქაუტაძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ვასილ მშვენიაძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ილია დევიძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თინათინ აბრალავა	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
შორენა მეზურნიშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ვახტანგ გარდაფხაძე	სსიპ - „საერთო სასამართლოების დეპარტამენტი“
თამარ პაპაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თამარ თომაშვილი	ევროპის კავშირი
თორნიკე გეწაძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
მარიამ მაჭარაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ქეთევან კუკავა	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
მაია ტალახაძე	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
მარიამ მხატვარი	ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
ნინო მდინარაძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნინო დემურხანაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

## 2. შეხვედრაზე განსახილველი საკითხი

---

სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მდგომარეობა.

## 3. მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის მიმოხილვა

---

2018 წლის 12 ნოემბერს, მესამე სამუშაო ჯგუფის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა ჯგუფის 10 წევრი: ირმა გელაშვილი, ირაკლი შენგელია, ვასილ მშვენიერაძე, ილია დევიძე, თინათინ აბრალავა, თამარ ჰაპაშვილი, ვახტანგ გარდაფხაძე, თორნიკე გეწაძე და მარიამ მაჭარაშვილი. კვორუმი შედგა. შეხვედრის დამსწრე წევრთა სრული უმრავლესობის გადაწყვეტილებით, სამუშაო ჯგუფმა შეხვედრაზე მონაწილეობის მისაღებად მოიწვია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, საბჭოს აპარატის თანამშრომელი და ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის ადგილობრივი ექსპერტი.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის წარმომადგენლების სურვილის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება დამკვირვებლის სტატუსით მათი სხდომაზე დაშვების თაობაზე.

ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე.

## 4. მესამე სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა შემდეგზე

---

მესამე სამუშაო ჯგუფის სხდომაზე ყურადღება გამახვილდა სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის მესამე სტრატეგიული მიმართულებით (ხარისხიანი მართლმსაჯულების, პროფესიონალიზმის და სასამართლო სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფა) გათვალისწინებულ აქტივობებზე, რომლებიც, ნაწილობრივ არის შესრულებული. ამასთან, სამუშაო ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს შემდეგი აქტივობების შესრულების მდგომარეობაზე: სასამართლო გადაწყვეტილებების მეთოდოლოგიისა და კრიტერიუმების შემუშავება;<sup>1</sup> სისხლის სამართლის საქმეებზე სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მისაღებ გარემოებებზე რეკომენდაციების შემუშავება;<sup>2</sup> სასამართლოების, მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრის წესის შემუშავება ექსპერტის მხარდაჭერით;<sup>3</sup> საქმეთა გაჭიანურებისა და

---

<sup>1</sup> პროგრამა 3.4.2-ის პირველი აქტივობა.

<sup>2</sup> პროგრამა 3.4.3-ის მეხუთე აქტივობა.

<sup>3</sup> პროგრამა 4.1.1-ის პირველი აქტივობა.

გადატვირთულობის პრობლემის ანალიზი და შესაბამისი ზომების გატარება;<sup>4</sup> რეგიონებში მოსამართლეებთან შეხვედრების ორგანიზება<sup>5</sup> და მედიაში ტრენინგ-კურიკულუმების შექმნა, მედიატორების, მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეებისათვის<sup>6</sup>.

ჯგუფის წევრებმა საჭიროდ მიიჩნიეს პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან დამატებითი შეხვედრების ორგანიზება, გარკვეული აქტივობების შესასრულებლად შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრის მიზნით.

## 5. თანდართული დოკუმენტები

---

- შესაშვ საშუალო ჯგუფის 2018 წლის 12 ნოემბრის შეხვედრის დღის წესრიგი.

თანამომხსენებლები:

*ი. გელაშვილი*

ირმა გელაშვილი

*ი. შენგელია*

ირაკლი შენგელია

სხდომის მდივანი:

*ნინო დემურბანაშვილი*

ნინო დემურბანაშვილი

<sup>4</sup> პროგრამა 4.2.2.

<sup>5</sup> პროგრამა 4.3.5-ის მეორე აქტივობა.

<sup>6</sup> პროგრამა 4.4.1-ის შესაშვ აქტივობა.

### III სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

*(ხარისხიანი მართლმსაჯულებისა და სასამართლო სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფა)*

**2018 წლის 12 ნოემბერი, 16:00**

#### **დღის წესრიგი:**

1. 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მდგომარეობაზე მსჯელობა.